ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

№1

ქ. თბილისი "19" დეკემბერი 2019 წ.

სსიპ - „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი" (შემდგომში „შემსყიდველად" წოდებული), დირექტორის ***სოფია გორგოძის*** სახით, ერთი მხრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი (შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული), დაცვის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსის ***მამუკა ლიპარტელიანის*** სახით, მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „შემსყიდველი",„მიმწოდებელს" ავალებს გამოკვლევის აქტის საფუძველზე, უზრუნველყოს „შემსყიდველის" ობიექტის დაცვა (შემდგომში „ობიექტად" წოდებული): რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ელიზბარ მინდელის ქ. №9;

1.2. მომსახურების შესყიდვა (CPV79713000) ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად (SMP190004793).

1.3. „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას „მიმწოდებელს" გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე–3 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით.

მუხლი 2. დაცვის თანამშრომელთა საშტატო განრიგი და დაცვის რეჟიმი

2.1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული „ობიექტის" დაცვას განახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველო: 1 (ერთი) დაცვის უფროსის, პოლიციის 3 (სამი) ინსპექტორისა და 9 (ცხრა) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით, სსიპ „გამოცდების ეროვნული ცენტრი"-ს შესაბამისი გამოკვლევის აქტებით გათვალისწინებული დაცვის რეჟიმით, ასევე საგანგაშო სიგნალიზაციის „ღილაკის" 1 (ერთი) გასაღების მეშვეობით;".

მუხლი 3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1 დაცვის მომსახურების ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 13.235,00 (ცამეტი ათას ორასოცდათხუთმეტი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით (მათ შორის: ერთი დაცვის უფროსი - 1700,00 ლარი, პოლიციის ერთი ინსპექტორი - 1100.00 ლარი, ერთი უმცროსი ინსპექტორი - 900.00 ლარი, ერთი გასაღები - 135.00 ლარი);

3.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდეს საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში;

3.3 დაცვის მომსახურებაზე საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას უზრუნველყოფს შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის სამმართველო.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1 არ გაამჟღავნოს „შემსყიდველის" სამსახურებრივი საიდუმლოება;

4.1.2 „ობიექტის" სპეციფიკიდან გამომდინარე განახორციელოს დაცვა ცეცხლსასროლი იარაღით ან იარაღის გარეშე;

4.1.3 „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

4.1.4 „მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს „შემსყიდველის" მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

4.1.5 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს „შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას;

4.1.6 „შემსყიდველისათვის'' ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „მიმწოდებელი'' მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;

4.1.7 ცენტრალიზებული დაცვის პულტზე განგაშის მიღებისას მოახდინოს „ობიექტზე" გამოცხადება და ადგილზე მისვლის შემდეგ უზრუნველყოს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების აღკვეთა–აცილება;

4.1.8 არ მიიღოს „ობიექტი" დაცვაში, თუ შეიქმნა პირობები რომლის გამოც, „მიმწოდებელისაგან" დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ ხერხდება დაცვაში აყვანა, რაზედაც „შემსყიდველს" ეცნობა ტელეფონით ან წერილობით;

4.2 „მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:

4.2.1 „შემსყიდველმა" არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები;

4.2.2 თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვეს დასაცავ „ობიექტში";

4.2.3 მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „შემსყიდველის" მიერ „ობიექტის" დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით.

4.2.4 თუ მომხდარია „შემსყიდველის" დაუდევრობით.

4.3 „შემსყიდველი" ვალდებულია:

4.3.1 განახორციელოს პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და „მიმწოდებელთან" ერთად იზრუნოს „ობიექტის" დაცვის სრულყოფისათვის;

4.3.2 „ობიექტის" მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში, არ შევიდეს მასში დაცვის თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა;

4.3.3 „მიმწოდებელს" 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე" მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას: („ობიექტის" დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სარემონტო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);

4.3.4 დაცვის თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს";

4.3.5 „შემსყიდველს" ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.

4.3.6 „ობიექტის" დაცვაზე მიღება-ჩაბარებისათვის ოფიციალურად გამოყოს პასუხისმგებელი პირი და გადასცეს მას სიგნალიზაციით სარგებლობის, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების უფლება;

4.3.7 განგაშის შემთხვევაში „მიმწოდებელს" მისცეს დასაცავი „ობიექტის" გახსნისა და დათვალიერების საშუალება;

4.3.8 უცხო პირებს არ გაანდოს დაცვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების წესები, „ობიექტზე" მინიჭებული პირობითი ნომერი და პაროლი;

4.3.9 სიგნალიზაციის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ „მიმწოდებელს", დაელოდოს „დაცვის" წარმომადგენლის გამოცხადებას და ნაკლოვანებების აღმოფხვრას;

4.3.10 ელექტრო-ენერგიის ავარიული გამორთვის შემთხვევაში ვალდებულია იქონიოს გამართულ მდგომარეობაში დასამუხტი და სარეზერვო მკვებავი საშუალებები;

4.3.11 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, „შემსყიდველი" ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ერთი თვით ადრე წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს".

მუხლი 5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე შეტყობინების ვადის დარღვევის შემთხვევაში, „შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებელს" გადაუხადოს პირგასამტეხლო დაცვის მომსახურების ერთი თვის ღირებულების ოდენობით, პირგასამტეხლოს თაობაზე მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს 14 საბანკო დღის განმავლობაში;

5.2 ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,დაცვა" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,დამკვეთს" პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0,2%-ის ოდენობით.

მუხლი 6. ფორს–მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან ფორს–მაჟორული შემთხვევის დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება და რაც დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

7.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

7.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ,,შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია;

8.2 ,,დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ,,დამკვეთს" ეცნობება არანაკლებ 10 დღით ადრე;

8.3 ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობის შეუსრულებელი ვალდებულების 5%-ის მიღწევის შემთხვევაში, ,,დაცვა" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ;

8.4 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

8.5 ხელშეკრულება შედგენილია სამი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ინახება ,,შემსყიდველთან", ხოლო ერთი ,,მიმწოდებელთან".

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

,,შემსყიდველი"

სსიპ - ,,შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი", ს/კ №202198727
ქ. თბილისი, ელიზბარ მინდელის ქ. №9,
სახელმწიფო ხაზინა, ა.ნ. 200122900

დირექტორი *ს. გორგოძე*

,,მიმწოდებელი"

შსს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ს/კ 211350928
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–11 კმ
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 707117293
ბანკის კოდი TRESGE22

დაცვის ორგანიზაციის
სამმართველოს უფროსი *მ. ლიპარტელიანი*